



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.აღუესიძის 1/3

წიგნის „დროსის წამების“ ქართული თარგმანის წარდგინება

2017 წლის 9 თებერვალს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება მანანა მაისურაძის წიგნის „დროსის წამების“ ქართული თარგმანი.

მანანა მაისურაძის ნაშრომი „დროსის წამების“ ქართული ვერსია წარმოადგენს სირიულიდან ქართულ ენაზე არაუგვიანეს VIII საუკუნეში თარგმნილ წამების ჟანრის აგიოგრაფიულ თხზულებას. ტექსტი შეიქმნა ბერძნულ ენაზე IV-V საუკუნეებში ანონიმი ავტორის მიერ. იგი დამყარებულია იოანე ოქროპირის ჰომილიასა და იოანე მოციქულის აპოკრიფულ აქტებზე. „წამების“ სირიელმა ავტორმა ბერძნული ტექსტი განავრცო და გაამდიდრა ახალი ცნობებით. ბერძნული ვერსია დღესდღეობით დაკარგულია, ამდენად, მისი სხვაენოვანი თარგმანები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

გამოცემას ახლავს გამოკვლევა, რომელშიც განხილულია როგორც ქართული ვერსიის, ასევე სირიული ტექსტის შემცველი ნუსხები, შესწავლილია დედნისა და მისი თარგმანის ურთიერთმიმართება, მათი ენობრივი თავისებურებანი. ტექსტს დართული აქვს ქართული და სირიულ-ქართული ლექსიკონები.

ნაშრომი, რომელიც 1980 წელს კორნელი კეკელიძის სახელობის მაშინდელ ხელნაწერთა ინსტიტუტში აკადემიკოს კოტე წერეთლის ხელმძღვანელობით შეიქმნა, იმ პერიოდში გარკვეული მიზეზების გამო ვერ გამოქვეყნდა. ამჟამად მისი უცვლელი სახით გამოცემა მიეძღვნა გარდაცვილილი ავტორის, მანანა მაისურაძის (1947-2013) ხსოვნას.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

mariamjavidze@gmail.com

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

friends@manuscript.ac.ge

599 899 628